საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/108

14 ივნისი, 2023 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნანა ჭელიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის N01-09/513 ბრძანების (ნანა ჭელიძის 2017-2018 სასწავლო წლიდან დოქტორანტობის კანდიდატთა ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (12.06.2023, ოქმი N27–20/7) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (13.06.2022 №683649) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის** დოქტორანტ **ნანა ჭელიძის** სადისერტაციო ნაშრომის: **„ D ვიტამინის რეცეპტორის (VDR) გენის rs2228570 პოლიმორფიზმის შესწავლა აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს აჭარის პოპულაციის მაგალითზე"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 26 ივნისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მარინა ქორიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ნაზი თურმანიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

გ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

დ) ნანა ზარნაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ე) თეა ქოიავა - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ლეილა ახვლედიანი - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ზ) ნატო ზოსიძე - მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

თ) ოთარი ცეცხლაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ი) ეთერი სარალიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

კ) ირინა ნაკაშიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ლ) თეონა გოგიტიძე - მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**